

## ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში 1946 წელს ჩამოყალიბდა ბიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება, რომელშიც გაერთიანდა ექსპერიმენტული და კლინიკური ჰემატოლოგიის ინსტიტუტი, ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, კარდიოლოგიის სექტორი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტი და ზოოლოგიის ინსტიტუტი. 1950 წელს განყოფილებას შეემატა პალეობიოლოგიის სექტორი, რომელიც 1957 წელს ინსტიტუტად გადაკეთდა. ამავე წლიდან განყოფილების შემადგენლობაში შევიდა კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი.

1958 წელს ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება.

ბიოლოგიის განყოფილებაში გაერთიანდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, ბოტანიკის ინსტიტუტი, ზოოლოგიის ინსტიტუტი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტი, სატყეო ინსტიტუტი (1963 წლამდე), ცენტრალური (თბილისის) ბოტანიკური ბაღი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი და სოხუმის ბოტანიკური ბაღი. 1963 წლიდან განყოფილებაში შევიდა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, ხოლო 1971 წელს განყოფილებას შეემატა მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი.

1974 წელს ბიოლოგიის განყოფილება გაიყო და მის ბაზაზე შეიქმნა სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილება, მედიცინის პრობლემათა განყოფილება და ბიოლოგიის განყოფილება. ამ უკანასკნელს დაექვემდებარა ბოტანიკის ინსტიტუტი, ზოოლოგიის ინსტიტუტი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტი და მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი. 1986 წელს ბიოლოგიის განყოფილებას შეემატა მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი.

განყოფილებაში გაერთიანებული სამეცნიერო დაწესებულებები კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: საქართველოს მცენარეული სამყაროს შესწავლა, სტრუქტურული ბოტანიკა, მცენარეთა ფიზიოლოგია; საქართველოს ცხოველთა სამყაროს შესწავლა სისტემატიკის, ზოოგეოგრაფიის და ეკოლოგიის თვალსაზრისით, საქართველოს შიდაწყალ-სატევების ჰიდრობიოლოგია და იქტიოლოგია, ცხოველთა ონტოგენეზური განვითარების კანონზომიერებანი;

ცხოველებისა და მცენარეული ორგანიზმების ისტორიული განვითარების გზები და კანონზომიერებანი; გენომის ორგანიზაცია და ფუნქცია, მცენარეული ცილების პრობლემები, მეორეული წარმოშობის ნივთიერებათა მეტაბოლიზმი და უცხო ნაერთებისაგან გარემოს გაწმენდის ბიოლოგიური საფუძვლები, მცენარეული ნედლეულის ბიოკონვერსია; გენეტიკური ინფორმაციის გადაცემის ენზიმოლოგია, ბიოლოგიური მაკრომოლეკულების თერმოდინამიკა და ჰიდროდინამიკა, ბუნებრივი ნაერთების საფუძველზე ცილების ანალოგების სინთეზი.

განყოფილების დაარსებისას მისი წევრები იყვნენ აკადემიკოსები: **ალექსანდრე ალადაშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ფილიპე ზაიცევი, გიორგი მუხაძე, ალექსანდრე ნათიშვილი, იოველ ქუთათელაძე, ნიკოლოზ ყიფშიძე, მიხეილ წინამძღვრიშვილი;** წევრ-კორესპონდენტები: **ვლადიმერ ასათიანი, დიმიტრი გედევანიშვილი, ვლადიმერ ჟღენტი, პეტრე ქომეთიანი.**

80-იანი წლების ბოლოსათვის განყოფილების შემადგენლობაში შედიოდნენ აკადემიკოსები: **მიხეილ ბოკუჩავა, ლეონიდე გაბუნია, მალხაზ ზაალიშვილი, გიორგი კვესიტაძე, გივი სანაძე;** წევრ-კორესპონდენტები: **ნუგზარ ალექსიძე, თენგიზ ბერიძე, ირაკლი ელიავა, გრიგოლ თუმანიშვილი, ალფრედ კოლაკოვსკი, გიორგი ნახუცრიშვილი, ნოდარ ნუცუბიძე, დევი უგრეხელიძე, ბორის ყურაშვილი, თეიმურაზ ჭანიშვილი, დავით ჯოხაძე.**

სხვადასხვა წლებში განყოფილებას ხელმძღვანელობდნენ აკადემიკოსები – **ივანე ბერიტაშვილი, კონსტანტინე ერისთავი, ალექსანდრე ნათიშვილი, ნიკოლოზ კეცხოველი, მიხეილ საბაშვილი, ლეონიდე გაბუნია.** 1988-2003 წწ. განყოფილებას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი **მალხაზ ზაალიშვილი;** 2003 წლიდან 2013 წლის ჩათვლით განყოფილების აკადემიკოს-მდივანი - აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე;** 2013 წლიდან განყოფილებას ხელმძღვანელობს აკადემიკოსი **თენგიზ ბერიძე.**

დღეისათვის განყოფილების წევრები არიან:

აკად. თენგიზ ბერიძე - განყოფილების აკადემიკოს-მდივანი

მაია გრიგოლავა - სწავლული მდივანი

აკადემიკოსები	წევრ-კორესპონდენტები
თენგიზ ბერიძე	მარლენ გორდეზიანი
გიორგი კვესიტაძე - პრეზიდენტი	ირაკლი ელიავა
მალხაზ ზაალიშვილი	თენგიზ ზაალიშვილი
თინათინ სადუნიშვილი	დავით ლორთქიფანიძე
გივი სანაძე	გიორგი ნახუცრიშვილი
განყოფილების საკონტაქტო ინფორმაცია:	ტელ: (995 32) 2-93-58-92; ელ-ფოსტა: <a href="mailto:maia.grigolava@science.org.ge">maia.grigolava@science.org.ge</a>